პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

10 ივნისი ოთხშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 134 (14738)

საკავშირო ცნობა

მეორე დღე ერთიანი მიგლეთოთვის კოსმოსში

„სოიუზ-9“ კოსმოსურმა ხომალდმა 9 ივნისს 14 საათისა და 25 წუთისათვის მოსკოვის დროით დედამიწას 124-ჯერ შემოუარა. ამ დროისათვის კოსმონავტები ანდრიან ნიკოლაევი და ვიტალი სევასტიანოვი ორბიტულ ფრენაში 186 საათს იყვნენ.

„სოიუზ-9“ ხომალდის ეკიპაჟის მერვე სამუშაო დღე მიმდინარეობდა დადგენილი წესის შესაბამისად და დამთავრდა 9 ივნისს დილის 4 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით. დღის განმავლობაში კოსმონავტებმა ნიკოლაევმა და სევასტიანოვმა შეასრულეს მეცნიერულ-ტექნიკური ექსპერიმენტები, აკვირდებოდნენ დედამიწის ზედაპირს და ცის მნათობებს, აგრეთვე მოაწყეს სამედიცინო კვლევის კომპლექსი.

რადიოკავშირის სეანსებში ანდრიან ნიკოლაევმა და ვიტალი სევასტიანოვმა გადმოსცეს ცნობები ექსპერიმენტების შესრულებისა და ვიზუალურ დაკვირვებათა შედეგების შესახებ. ამ დღეს დაკვირვებისათვის ყველაზე მისაწვდომი იყო სამხრეთი ამერიკა და აფრიკის კონტინენტი. კარგად ჩანდა ამერიკის კონტინენტის დასავლეთი სანაპირო, მდინარე ამაზონის ხეობა, ჩადის ტბა აფრიკაში.

96-ე გარშემოვლის დროს საბორტო საშუალებებით ორბიტის პარამეტრების განსაზღვრის ექსპერიმენტის შესრულებისას კოსმონავტებმა საყრდენ ორიენტირად აირჩიეს ვიედმას ტბა სამხრეთ ამერიკაში. მეთაურმა ანდრიან ნიკოლაევმა ხომალდის ორიენტირება მოახდინა დედამიწის ოპტიკური ილუმინატორით, რის შემდეგ ბორტ-ინჟინერმა სევასტიანოვმა განახორციელა სანავიგაციო გაზომვები, შეიტანა ისინი და სხვა საწყისი მონაცემები საანგარიშო ფორმულაში და გამოიანგარიშა ორბიტის ერთ-ერთი პარამეტრი.

ფრენის მერვე დღის პროგრამის შესაბამისად „სოიუზ-9“ ხომალდის ეკიპაჟმა შეასრულა აგრეთვე სამედიცინო კვლევა უწონობის პირობებში კოსმონავტთა გრძნობის ორგანოებისა და შრომისუნარიანობის შესაძლო ცვლილებების შესწავლის მიზნით.

111-ე გარშემოვლის დროს კოსმონავტი ნიკოლაევი მთელი საათის განმავლობაში ასრულებდა ფიზიკური ვარჯიშების კომპლექსს, შემდეგ მოახსენა ფიზიოლოგიური მაჩვენებლების გაზომვის შედეგები ფიზიკურ დატვირთვამდე და დატვირთვის შემდეგ. ვარჯიშის შესრულებამდე არტერიული წნევა იყო ვერცხლისწყლის სვეტის 125,75 მილიმეტრი, გულის შეკუმშვის სიხშირე — 68 წუთში, სუნთქვისა — 11 წუთში.

20 წამის შემდეგ ფიზიკური დატვირთვიდან არტერიული წნევის დონეზე აიწია ვერცხლისწყლის სვეტის 135,75 მილიმეტრამდე, მაჯისცემის სიხშირე გაიზარდა 80-მდე წუთში, სუნთქვისა — 15-მდე წუთში. ორი წუთის შემდეგ კოსმონავტის აღნიშნული ფიზიოლოგიური პარამეტრები საწყის დონეზე იყო.

ამრიგად, რეგისტრირებული ფიზიოლოგიური მაჩვენებლები მეტყველებენ გულ-სისხლძარღვებისა და სასუნთქი სისტემების ადეკვატურ რეაქციებზე დატვირთვისა ფიზიკური დატვირთვის დროს. როგორც კოსმონავტმა თქვა, ვარჯიშის შესრულების შემდეგ სასიამოვნო შეგრძნება ჰქონდა და მხნედ იგრძნო თავი, როგორც დედამიწაზე ფიზიკური ვარჯიშის შემდეგ.

8 ივნისს 22 საათსა და 20 წუთზე ხომალდის ბორტიდან სატელევიზიო რეპორტაჟის დროს ანდრიან გრიგოლის-ძე ნიკოლაევი ესაუბრა თავის ოჯახს. ვალენტინა ვლადიმერის ასულმა და გოგონამ ალიონკამ, რომელსაც ამ დღეს ექვსი წელი შეუსრულდა, ანდრიან ნიკოლაევს უსურვეს წარმატებანი და დედამიწაზე მშვიდობით დაბრუნება.

„სოიუზ-9“ ხომალდის მორიგი სამუშაო დღე დაიწყო 9 ივნისს 12 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით. რადიოკავშირის პირველი სეანსში ხომალდის მეთაურმა განაცხადა, რომ კოსმონავტები დასვენების შემდეგ თავს კარგად გრძნობენ და შეუდგნენ დღის პროგრამის შესრულებას.

„სოიუზ-9“ კოსმოსური ხომალდის ფრენა გრძელდება.



ქ. სოხუმის ოქტომბრის საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა კლუბი დიდ მუშაობას ეწევა. აქ უშვებენ კედლის გაზეთებს, აწყობენ შეხვედრებს წარჩინებულ ადამიანებთან. სურათზე: აგიტატორთა და საარჩევნო კომისიის წევრთა ჯგუფი მიემართება ამომრჩეველთა ბინებისაკენ (მარჯვნიდან) წინა პლანზე — ტ. ტკაჩენკო, ბ. გოგუა და ლ. იაკოვლევა.

ფოტო ს. კორეტკოვისა.

მეცნიერების ახალი ჰორიზონტები

ლენინურად, კომუნისტურად ვუძღვებოდეთ მეურნეობას ნიშნავს ვეურდნობოდეთ მეცნიერებას. ცხოვრებასთან მეცნიერების კავშირის უდიდეს მნიშვნელობას მუდამ ხაზს უსვამდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. მეცნიერება ნამდვილად სიხარულა და ბედნიერება უნდა გაგვიჯდეს, — მიგვითითებდა ლენინი, — საკუთარი და ნამდვილად ყოფაცხოვრების შემადგენელ ელემენტად გადაიქცეს.

კომუნიზმის მშენებლობაში პარტიის ხელმძღვანელობით უდიდეს გამარჯვებებს რომ ვაღწევთ, ეს იმის შედეგიც არის, რომ ფართოდ ვიყენებთ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებს, მეცნიერება სულ უფრო ინტენსიურად ხდება საზოგადოების უშუალო საწარმოო ძალა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის იწერებოდა: „ეკონომიკის ზრდის ტემპები ახლა სულ უფრო მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მეცნიერული კვლევისა და მისი შედეგების წარმოებაში დანერგვის ტემპებზე“.

საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა უდიდეს ძალას წარმოადგენს ჩვენს ცხოვრებაში, დიდია მისი ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში. საბჭოთა მეცნიერებასა და ტექნიკას, საბჭოთა ხალხის კოლექტიურ გენიას უნდა უმადლოდეს კაცობრიობა კოსმოსური ერის დასაწყისს. ახლაც ორბიტულ ფრენას ასრულებენ ნიკიერი, მამაცი საბჭოთა კოსმონავტები ნიკოლაევი და სევასტიანოვი. ეს დამახასიათებელი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ მტკიცეა ჩვენში მეცნიერების კავშირი ცხოვრებასთან, რომ მეცნიერება ჩვენში ახლა ერთიანთა ხელიდრი როდია, არამედ მასების შემოქმედებაა. თუ რა ღირსეულად აფასებს ხალხი მეცნიერთა ღვაწლს, თუ როგორია მეცნიერთა შემოქმედებითი თავდადება კომუნიზმის მშენებლობისათვის, — ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ორგანოების მოახლეობულ არჩევნებში ხალხი ხშირ მისცემს არაერთ საბჭოთა მეცნიერს. საქართველოდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები არიან საქართველოს ცნობილი მეცნიერები ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, სიმონ ხერხეულიძე; დეპუტატობაზე კენჭს იყრიან აგრეთვე მეცნიერ-მუშაკები გიორგი ძიძარია აფხაზეთიდან და მიხეილ დარასელია აჭარიდან.

ცხოვრებაში ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელმა განხორციელებამ ხელი შეუწყო მოკავშირე რესპუბლიკებში მეცნიერების აყვავებას, ტექნიკის ძლაფარ აღორძინებას. ამის უტყუარ და ნათელ დადასტურებას ვპოულობთ თუნდაც ჩვენი რესპუბლიკის მაგალითში. ორგზის ლენინის ორდენოსანი საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და მისი დაარსებული მეცნიერების განვითარებაში დღეს ალიარებულია ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც. სასიხარულოა, რომ წელს ლენინური პრემიის ლაურეატთა სახელოვან რიგებს შეემატა სამი ქართველი მეცნიერი: თინა ასათიანი, გიორგი ჩიქოვანი, ვლადიმერ ციონიშვილი, რომლებმაც პრემია დაიმსახურეს ნაშრომისათვის — „ტრეკის ნაპერწკლოვანი კამერები“.

ამას წინათ ჩატარებულმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წლიურმა საიერთო კრებამ ცხადყო ის დიდი და ეფექტური შრომა, რასაც ეწევიან ქართველი მეცნიერები ყველა თანამედროვე წამყვან მეცნიერულ მიმართულებებში. დღეს ქართველ მეცნიერთა კვლევის მაღალი ეფექტურობა ფართოდ არის ცნობილი. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის შთაგონებული შრომით რომ ემზადებოდნენ, ქართველი მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლებმა გასწიეს კვლევა ცოდნის თითქმის ყველა თანამედროვე დარგში, რითაც ღირსეული წვლილი შეიტანეს მთელი საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების პერიოდში მეცნიერთა შთაგონებული შრომა გრძელდება ახალ-ახალი წარმატებებით.

მეცნიერება რესპუბლიკისა, რომელიც მალე იზეიმებს თავის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, ფართოდ შლის ახალ პორიზონტებს. ჩვენი სახელგანთქმული მათემატიკოსები კვლევას ეწევიან ფუნქციების თეორიის, ინტეგროდიფერენციალური განტოლებების, დრეკადობისა და გარსთა თეორიის დარგში; ქართველმა ფიზიკოსებმა დაამთავრეს ატომური რეაქტორის რეკონსტრუქცია, რომლის შედეგად მისი სიმძლავრე გაიზარდა. გრძელდება მუშაობა ზედნადობისა და ზეგამტარობის დარგში და მთელ რიგ სხვა პრობლემებზე. ასტროფიზიკოსები წარმატებით სწავლობენ ვარსკვლავებისა და ნისლეულობის, პლანეტებისა და მზის სისტემის სხვა სხეულების ფიზიკას, დედამიწის ზედა ატმოსფეროს აგებულებას; გეოლოგები სწავლობენ დედამიწის ქერქის მოძრაობებს, მაგმატიზმის განვითარებას, არკვევენ სასარგებლო წიაღისეულის წარმოშობისა და მათი განლაგების კანონზომიერებებს. ინტენსიური სამუშაოები წარმოებს დედამიწის ფიზიკის პრობლემის დარგში; დიდია გეოგრაფთა, ქიმიკოსთა, ფიზიოლოგთა, ბოტანიკოსთა, ზოოლოგთა, სამშენებლო მექანიკის დარგის მეცნიერთა, ბიოქიმიკოსთა კვლევის ეფექტიანობა. საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ფართო ყურადღებას იპყრობს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების სამუშაოები, გამოსულია და გამოდის თვალსაჩინო შრომები მარქსისტულ-ლენინური თეორიის, ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების, ალმოსავლეთმცოდნეობის დარგებში. რესპუბლიკის აკადემიისა და მის სამეცნიერო დაწესებულებათა მთელი მუშაობა მიმართულია უმთავრესად მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლებასა და სახალხო მეურნეობაში მათი შედეგების დანერგვის დაჩქარების მიმართულებით, იმ ამოცანათა განხორციელებისათვის, რაც სკკპ XXIII ყრილობამ დაუსახა ჩვენს მეცნიერებას.

მიჰყვებიან რა შემოქმედებითი ძიების გზას, ჩვენი მეცნიერები კვლავაც განუხრელად უნდა აღწევდნენ სეროიოზულ შედეგებს მეცნიერების ფუნდამენტალური და გამოყენებითი მიმართულებების განვითარებაში, ხელს უწყობდნენ წარმოების ტექნიკასა და ტექნოლოგიის განუწყვეტელ სრულყოფას. დასამალავი არ არის, რომ ზოგიერთ სამეცნიერო დაწესებულებაში დიდი შემოქმედებითი და პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული პრობლემების ნაცვლად იკვლევენ წვრილმან, მეორეხარისხოვან საკითხებს.

პარტიის XXIII ყრილობა მიგვითითებდა, რომ საჭიროა გავაძლიეროთ სამინისტროების, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ყურადღება მეცნიერებისადმი, მის მიღწევათა დანერგვისადმი სახალხო მეურნეობაში. საჭიროა დარგობრივი ინსტიტუტების, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და საწარმოთა საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესება, მათი კომპლექსური მუშაობის უზრუნველყოფა. ამასთანავე, თვითონ მეცნიერები, მეცნიერებათა აკადემია, მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტი აქტიურად უნდა იბრძოდნენ მეცნიერული კვლევის შედეგების უსწრაფესად გამოყენებისათვის წარმოებაში.

ჩვენი ქვეყნის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილ მიმართვაში ნათქვამია: — კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, გვასწავლიდა ლენინი, ხალხის სამსახურში უნდა ჩაიყენო მთელი მეცნიერება, ტექნიკა, მთელი ცოდნა...

მეცნიერული თემატიკა აქტიურად უნდა განიხილებოდეს სამეცნიერო დაწესებულებებში, აქ მხარს უნდა უჭერდნენ აზრთა ბრძოლასა და მეცნიერულ კრიტიკას, მეცნიერთა სახარგებლო ინიციატივას, სამეცნიერო კოლექტივებში ქმნიდნენ შემოქმედებითს, მაღალი მომთხოვნელობის ატმოსფეროს, პარტიულობისა და პრინციპულობის სულისკვეთებით ზრდიდნენ კადრებს. ყოველივე ამ საქმეში დიდია ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების როლი. უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვითეული მეცნიერის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით შეიარაღებას.

საქართველოს მეცნიერთა დიდი შემოქმედებითი ძიებანი და მათი შედეგები ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. საამაყოა იმის შეგნება, რომ გაიზარდა ჩვენი რესპუბლიკის აკადემიკოსთა რიგები — ქართული მეცნიერების შტაბს შეემატა თხუთმეტი ახალი აკადემიკოსი. მეცნიერთა მძლავრ რაზმს ემატებიან ახალგაზრდა ძალებიც. ეს ყველაფერი, ცხადია, აგრეთვე საწინდარია ახალი წარმატებებისა.

ერთ წელზე ცოტა ნაკლები დრო რჩება იმ ისტორიულ დღემდე, როცა ჩვენი რესპუბლიკის შრომელები ოზეიმებენ ღირსსახსოვარ იუბილეს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს. ისევე როგორც ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, ქართული მეცნიერების დარგშიც შემდგომი აყვავების პერიოდი უნდა გახდეს ამ იუბილესათვის მზადება. ეჭვი არ არის, ლენინური იდეებით აღზრდილი ჩვენი მეცნიერული ძალები ახალი საამაყო შედეგებით გვასახელებენ.

საქართველოს კომკავშირის საგრძოლო ამოცანები

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის გაერთიანებული პლენუმი

რა ამოცანებს უსახავს რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს სრულიად საკავშირო ალკკ XVI ყრილობის გადაწყვეტილებანი, როგორ უკეთ განახორციელოთ ისინი? — ეს საკითხები განიხილა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის გაერთიანებულმა პლენუმმა, რომელიც 9 ივნისს გაიმართა თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ალკამიძე, საქართველოს ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბარციცი, სიღნაღის რაიონის მექანიზატორი ბ. შიშკაშვილი, საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. საბერშვილი, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი რ. ფეფოვა, საქართველოს ალკკ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ზ. სანკაროვი, ახმეტის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგი დ. გომელაური, საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. იმედაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომკავშირულ ორგანიზაციათა განყოფილების გამგის მოადგილე ტ. მრს�აძე, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშა ი. ბერიმოვი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი მ. მამისაშვილი, კომკავშირის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ზაქარიაძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის თანამოაზრე კომკავშირულ მუშაობაში მ. ბრაჭიკინი, კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ჯიქია, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ბ. რიბაკინი.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმზე თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, „თბილისგვირაბმშენის“, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და სხვა კომკავშირულ ორგანიზაციებს გადასცეს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელები და შეიტანეს სრულიად საკავშირო ალკკ საპატიო წიგნში.

კომკავშირულ მუშაკთა ჯგუფი დაჯილდოდა სამკერდე ნიშნით „კომკავშირში აქტიური მუშაობისათვის“.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პარტიულ სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით ბ. ბაბუშვილა გამოყვანილია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობიდან. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩიეს საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ალკამიძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე რ. მეტრეველი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ორგანიზატორი ვ. დოლმატოვი. (საქდესი).

სამშობლოს ჰპირდებიან

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში გრძელდება თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ პატრიოტული ინიციატივის განხილვა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გაწევას. რედაქციაში შეიძართა საპასუხოდ მოდის შრომითი კოლექტივების კონკრეტული ვალდებულებები, რომელიც ითვალისწინებენ ხუთწლედის ვადამდე დამთავრებას, საწარმოს ეფექტიანობის ამაღლებას, ყოველ მანეთ სასაკოლო პროდუქციაზე დანახარჯების შემცირებას, ხარისხის გაუმჯობესებას.

ღირსეული შესვედრა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს

გეგმის გადამეტებით

თელავი. (საკ. კორ.) თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატის კოლექტივმა ერთსულოვნად მიაწერა თბილისელ მემაუდეთა თაოსნობა. საწარმოს მშრომელებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს:

პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მოახდინონ 50 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია;

მიმდინარე წლის გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 1 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 0,5 პროცენტით.

დაზოგონ 100 კუბმეტრი მარმარილოს ზოდები, და 50 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია;

ხუთწლიანი გეგმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლით შეასრულონ 1970 წლის 7 ნოემბრისათვის, ხოლო 1971 წლის იანვარ-თებერვლისა — 23 თებერვლისათვის და მიიღონ 10 ათასი მანეთი ზედეგმითი მოგება.

ალებულ სოციალისტურ ვალდებულებათა შესასრულებლად კომბინატის ყველა საწარმოსა და სამეურნეოში თავდადებული შრომა განაღდა.

შეჯიბრეგაში ჩაებნენ მშენებლები

ტყიბულეშენის სამმართველოს კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ინიციატივას გაიჩინონ სოციალისტური შეჯიბრება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად. მშენებლებმა გადაიხადეს თავიანთი შესაძლებლობებს და გადაწყვიტეს:

საერთო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიმდინარე წლის გეგმა 103,5 პროცენტით შეასრულონ, ხოლო 1971 წლის იანვარ-თებერვლის გეგმა — იუბილეს დღისათვის 104 პროცენტით, მიმდინარე წლის შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 3 პროცენტით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების თვითღირებულება შეამცირონ 6 პროცენტით.

30 აგვისტოსათვის, ე. ი. ოთხი თვით ადრე საექსპლოატაციოდ ჩააბარონ ერთი 60-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის საცხოვრებელი ფართობი 1858 კვადრატული მეტრი იქნება, მიმდინარე წლის სამინაო მშენებლობის გეგმა შეასრულონ 110 პროცენტით და საექსპლოატაციოდ გადასცენ 5.886 კვადრატული მეტრი საერთო სამინაო ფართობი, ხოლო 1971 წლის ორი თვის გეგმა 112 პროცენტით შეასრულონ. ფართოდ დანერგონ შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, რაციონალიზატორული წინადადებანი და გამოგონებანი და ამ გზით მიიღონ 12.000 მანეთი ეკონომია.

დაზოგილი მასალებით

თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკა „ისნის“ კოლექტივი საბჭოთა საქართველოს იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის კისრულობს:

გეგმასთან შედარებით 2,1 მილიონი მანეთით გაზარდონ პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა, 1,2 პროცენტით გაადიდონ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება; იუბილეამდე დარჩენილ ათ თვეში გეგმასთან შედარებით 8 პროცენტით აამაღლონ შრომის ნაყოფიერება; პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით, შრომის ნაყოფიერების ზრდითა და ნედლეულის მოჭრირნეობით გეგმის გადამეტებით მიიღონ 200 ათასი მანეთი მოგება, გამოუშვან 80 ათასი წყვილი მაღალხარისხოვანი ზეკეცმითი ფეხსაცმელი.

ZAZIS MZ-11 SAERTASHORISO KONGRESI

MOSKOVSHI, kremlis ყრილობათა სასახლეში 9 ივნისს გაიხსნა გაზის მე-11 საერთაშორისო კონგრესი. დარბაზში შეიკრიბა ხუთი ათასამდე კაცი — 50 ქვეყნის წარმომადგენლები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მ. ტ. ეფრემოვმა წაიკითხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მისალმება მე-11 კონგრესის მონაწილეებისადმი.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის გაზის მრეწველობის მინისტრმა ა. კ. კოპტუნოვმა.

პლენარულ სხდომაზე მოხსენებანი გააკეთეს აგრეთვე „კომპანია ფრანსეზ“ დიუმ მეტანის“ პრეზიდენტმა ჟ. რობერმა და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ბ. ე. პატონმა. (საქდესი).

LESIA UKRAINKAS IUBILE

1971 წლის 25 თებერვალს სრულდება გამოჩენილი უკრაინელი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ლესია უკრაინკას დაბადების 100 წლისთავი. მწერლის იუბილეს მომზადებისა და მოწყობისათვის შეიქმნა სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტი. მის შემადგენლობაში შევიდნენ მწერლები, კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

კომიტეტის თავმჯდომარეა ნ. ს. ტიხონოვი, თავმჯდომარის მოადგილეები — მ. ნ. ალექსეევი და ო. ტ. გონჩარი. (საქდესი).

DIDI MOCDENA MECNIERTA SHORIS

ZOGADSACANMANANTESELI skolebshi gadasaqvani, gamosashvebi da saSualo ganatlebis atestatebze ganacxadebeli gamocdebia. xdeba pedagogiuri kolektivebis, skolashi mocebuli saxelebis mosწavlebis, თვითეული mosწavlis mTeli wlis shromis shedegebis shejamebs.

ჩვენი რესპუბლიკის ყველა სკოლაში გამოცდები saგამოცდო ინსტრუქციის სრული შესაბამისობით დაიწყო. მეოთხეკლასელებმა პირველი გამოცდების მღელვარება და პირველი ნიშნების სიხარული განიცადეს. განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე მაინც მეათეკლასელები არიან. სანამ ისინი პირველ ნაბიჯს გადადგამენ ცხოვრებაში, სკოლაში მოღებული saგზურით — saSualo განათლების atestatით ბევრი maგანი უმაღლეს სასწავლებელს მიაშურებს, ბევრიც ფაბრიკებსა და ქარხნებს, კოლმეურნეობებსა და saბჭოთა მეურნეობებს, ეზიარება შრომას, აირჩევს saკუთარ გზას. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, მომავლის saქმეა, maგრამ

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გადასაყვანი, გამოსაშვები და saSualo განათლების atestatebze ჩასაბარებელი გამოცდებია. ხდება პედაგოგიური კოლექტივების, თვითეული mosწavlis mTeli wlis შრომის შედეგების შეჯამება.

ჩვენი რესპუბლიკის ყველა სკოლაში გამოცდები saგამოცდო ინსტრუქციის სრული შესაბამისობით დაიწყო. მეოთხეკლასელებმა პირველი გამოცდების მღელვარება და პირველი ნიშნების სიხარული განიცადეს. განსაკუთრებული პასუხისმგებლობის წინაშე მაინც მეათეკლასელები არიან. სანამ ისინი პირველ ნაბიჯს გადადგამენ ცხოვრებაში, სკოლაში მოღებული saგზურით — saSualo განათლების atestatით ბევრი maგანი უმაღლეს სასწავლებელს მიაშურებს, ბევრიც ფაბრიკებსა და ქარხნებს, კოლმეურნეობებსა და saბჭოთა მეურნეობებს, ეზიარება შრომას, აირჩევს saკუთარ გზას. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, მომავლის saქმეა, maგრამ

გამოცდები, გამოცდები...

ჩვენ ხომ ამის saუკეთესო ტრადიციები გვაქვს.

გამოსაშვები გამოცდა მშობლიურ literatures, როგორც ყოველთვის მაისის ბოლო დღეს გაიმართა. პირველი გამოცდების შედეგებმა დაგვარწმუნა, რომ saარშანდელთან შედარებით ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა უკეთესი ცოდნა გამოამჟღავნეს. თხზულებანი კარგად დაწერეს იმ სკოლების mosწavlebebma, სადაც გაძლიერებით ასწავლიან maთემატიკას, ქიმიას, ფიზიკასა და უცხო ენას.

ბი მრავალთა შორის ერთი სკოლა — დედაქალაქის 47-ე saშუალო სკოლა. დირექტორი თამარ ჩიხლაძე ერთ-ერთია იმ ათასთაგან, რომელნიც გამოცდებისათვის მთელ პასუხისმგებლობას განიცდიან.

ეს სკოლა 1961 წლიდან ინგლისური saწავლების სკოლად გადაკეთდა. აქ უცხო ენაზე ისწავლება მთელი რიგი saგნები, უცხო ენაზევე იკითხება literatura, ასწავლიან ტექნიკურ თარგმანს. სკოლის ბევრი mosწavle სისტემატურად monაწილეობს უცხო ენების moყვარულთა saქალაქო კონკურსებში, თბილისის ბ. ძნელაძის saხელობის პიონერთა და mosწavleTa respublikuri sasaxlis miერ mowyobi� უცხო ენების თეორიულ კონფერენციებში და სხვ. ამ სკოლის mosწavleTa monაწილეობა ყველგან პირველი ხარისხის დიპლომებითა და ქების სიგელებით აღინიშნება.

47-ე სკოლის mosწavleebi მეგობრობენ ტალინის ინგლისური saწavlebis მე-7 saშუალო სკოლასთან. ახლახან ოცდასამმა mosწavlem მიიღო monაწილეობა ტალინის მე-7 saშუალო სკოლაში moწyobili ტრადიციული mezobrobis ფესტივალში, სადაც ლენინის ცხოვრებისა და moღვაწეობის ამსახველი ვიქტორინაში გამარჯვებისათვის saპეციალური სიგელი დაიმსახურეს.

უკანასკნელი ზარის დარეკვის შემდეგ სკოლაში moეწყო პირველი გამოშვების (უცხო ენის განხრით) mosწavleTa saზეიმო გაცილება. აქ იყვნენ ცნობილი mecneebebi უნივერსიტეტებიდან და უცხო ენათა ინსტიტუტიდან. განათლების saministroSi da სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები.

წელს ამ სკოლას პირველად ამთავრებენ maთეთკლასელები უცხო ენის განხრით, 64 mosწavle ამთავრებს სკოლას, maთგან ორმოცდაოთხმა გამოთქვა სურვილი განაგრძოს saწavle უცხო ენათა ინსტიტუტში. maიდნარე გამოცდებს სკოლა, pedagoguri კოლექტივი, mosწavleebi ყოველmxrivi momzadebuli შეხვდნენ. გამოცდები ჩატარდა ქართულ ენასა და literaturaSi (წერა და ზეპირი), istoriaSi, rusულ ენაში, და უკვე saუკეთესო maჩვენებლებს maიღწევს.

mosწavleebi კარგად არიან momzadebuli. კურსდამთავრებულთა უმრავლესობა monაწილეობდა literaturaSi, ქიმიის, ფიზიკის, maთემატიკის saსკოლო olimpiadebSi. მარტო maთი კლასებში დღემდე saმოცზე metი ფრიადი დაწერა; 47-ე სკოლაში maიდნარე გამოცდებზე არც ერთი არადამაკმაყოფილებელი ნიშანი არ დაწერილა. ეს ფაქტი ნათლად metყველებს maთელი pedagoguri კოლექტივის კარგ muშაობაზე. ქების ღირსი არიან maსწავლებლები: თ. გეგეჭკორი (saსწavlo ნაწილის გამგე), მ. ბუბუტეიშვილი, ც. სულაძე, ქ. ყიფშიძე, მ. ბელთაძე, ე. მაყაშვილი, მ. კვლიმიკელი, ზ. ხუნდაძე და სხვ.

გამოცდები გრძელდება.

ბ. დურგლიშვილი.

სურათზე: გამოსაშვები გამოცდები თბილისის 47-ე saშუალო სკოლის XI klasSi.

ფოტო ს. კილაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატობის კანდიდატი მერი ტატურაშვილი

ხელმაღლიანი ფეიქარი

ბევა წელია ეს შავგვრემანი, ყოველთვის სახეხომლიმარი ქალიშვილი გორში ცხოვრობს, ჩვენი პირველი გაცნობაც რამდენიმე წლის წინ მოხდა, მაშინ საქალაქო გაზეთის რედაქციაში მუშაობდი და თითქმის კვირაში ერთხელ მიხდებოდა საკონსერვო ქარხანაში მისვლა საგაზეთო მასალების ასაღებად. რედაქციის დავალებით შემოდგომის ერთ ჩვეულებრივ დღეს კვლავ მივედი ქარხანაში და საამქროს უფროსის სერგო მიქაიას კაბინეტის ნაცვლად პირდაპირ სამეურაბე საამქროში შევედი. მოხავლის აღების დღეები იდგა და საამქრო მთელი დატვირთვით მუშაობდა.

სერგო მიქაია საამქროში დამხვდა. ჩემი მისვლის მიზანი რომ გაიგო, ხელკავით საამქროს ბოლოსაკენ წამიყვანა.

— ძველი მუშა უნდა იყოს, გეგმებს გადაჭარბებით ახორციელებს, წონიან პროდუქციას არ უნდა უშვებდეს, ცოტა ფოტოგენური სახეც თუ იქნება, უკეთესი იქნება... — მხიარულად იმეორებდა ოდესღაც ჩემ მიერ ნათქვამ სიტყვებს და საამქროს ბოლოსაკენ მიმძღვებოდა. მერე შეჩერდა, ერთ მუშაზე მანიშნა და მითხრა:

— ხომ აკმაყოფილებს პირობებს? დიდი ხანია მუშაობს, ხელმარჯვეა, დანარჩენს ალბათ თვითონ გეტყვით.

— მას უკვე იცნობს მკითხველი, — ვუთხარი საამქროს უფროსს. — ახლა სხვაზე დავწეროთ, ახალი გვარები გამოვაჩინოთ, გეკოლეგათ ვინმე...

მან სიტყვა გამაწყვეტინა და იქვე ახლოს მდგომ ქალიშვილზე მიმითითა.

— ახალიც ეს არის. ოთხი წელია მუშაობს და ძველებს არაფრით არ ჩამოუვარდება, გვარად ტატურაშვილია, და ხელით ანიშნა შავგვრემან გოგონას ჩვენთან მოსულიყო.

მერე დღეს მერი ტატურაშვილის „ბიოგრაფია“ თითქმის მთლიანად ზეპირად ვიცოდი. თუმცა რა ბიოგრაფია უნდა ჰქონოდა ოცდაერთი წლის ქალიშვილს — დაბადა გორის რაიონის სოფელ ნაწრეტში, ხუთი დანი არიან და ერთი ძმა მყავთ. მერი და თინა ცოტა ხნის წინ გორში ჩამოვიდნენ და ქარხანაში დაიწყეს მუშაობა, პროფესია მალე ითვისეს. კიდევ რა? მეტი არაფერი, ხელმძღვანელობა აქებს, კოლექტივს უყვარს. ეს არის და ეს.

მესამე დღეს მერის ფოტოსურათი და პატარა წერილი მის საქმიანობაზე გაზეთში გამოქვეყნდა. გავიდა ერთი წელი, ერთ საზეიმო თარიღთან დაკავშირებით მისი ხელმოწერით დავბეჭდეთ გაზეთში პატარა წერილი, მერე ქარხანაში ალარ მინახავს, არ ვიცოდი სად წავიდა, სად დაიწყო მუშაობა.

1966 წლიდან ბამბეულის კომბინატში დავიწყე მუშაობა. ფეიქრებს მრავალთასიანი კოლექტივი აქვთ და ყველას გაცნობა შეუძლებელია. მაგრამ დრო გადიოდა და ნაცნობების რიცხვიც თანდათან იზრდებოდა. და ერთ დღეს გასასვლელში მერი ტატურაშვილს მოვკარი თვალი. მერე საამქროშიც შემხვდა. მივესალმეთ ერთმანეთს, გაიღიმა და მუშაობა განაგრძო.

რაც დრო გადიოდა, მერი ტატურაშვილის სახელი უფრო ხშირად ისმოდა კრებებზე, სხდომებზე, თათბირებზე, რადიოგადაცემებში, მრავალტირაჟიანი გაზეთის ფურცლებზე.. ის უკვე ერთ-ერთი სანიმუშო მრთველი იყო კომბინატში. მალე კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება მოიპოვა. ამჟამად ცვლის პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელია.

როგორ მიაღწია ამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივმა, მოკრძალებულმა ქალიშვილმა კოლექტივის ასეთ სიყვარულსა და დაფასებას?

თვითონ მერის სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმატებებზე ლაპარაკიც ზედმეტია, თუ კაცს ის საქმე არ უყვარს, რომელსაც ემსახურება. მერი ტატურაშვილს უსაზღვროდ უყვარს მრთველის პროფესია. სხვისთვის შესაძლოა ერთფეროვნების განცდას და მოწყენილობას იწვევდეს უზარმაზარ საამქროში სართავი მანქანების გაბმული გუგუნი, თითისტრების ბზრიალი... მაგრამ მერი ტატურაშვილის გონებაში ეს მარტივი, ერთფეროვანი გარემო სულ სხვანაირად წარმოსახება. მან იცის, რომ დადგენილი ნორმით ერთი მრთველი ორ მანქანას, ანუ 832 თითისტარს უნდა ემსახურებოდეს. ისიც იცის, რომ ეს ნორმა სპეციალისტებმა დადგინეს ხანგრძლივი დაკვირვებისა და საშუალო მომზადების მუშის შესაძლებლობის მიხედვით, მაგრამ ხომ შეიძლება საშუალოზე უკეთესად იმუშაოს კაცმა? რა თქმა უნდა, შეიძლება. და აქ იღვიძებს ინტერესი, სწრაფვა ზღვარის გადალახვისაკენ. მერი ტატურაშვილმა მიაღწია მომსახურების ზონის 1080 თითისტარამდე გაზრდას. ამან თავისებური სიამაყე და სიამოვნება მოანიჭა ხელმარჯვე ფეიქარს.

სწორედ ხალმის დიდმა სიყვარულმა, დაინსრებული მოვალეობისათვის მაღალმა პასუხისმგებლობამ შეაძლებინა მერი ტატურაშვილს ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში შეესრულებინა. მან ასევე ნაყოფიერად იშრომა მიმდინარე წელსაც. პირველი კვარტალის დავალება 120,4 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 1635 კილოგრამი ნართი. აპრილის დავალება 22 რიცხვისათვის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის გაჯანდა და თვის ბოლომდე დამატებით გამოუშვა 800 კილოგრამი პროდუქცია.

ყველაზე უფრო დიდი სიხარული განიცადა ხელმაღლიანმა მრთველმა, როცა იგი კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს. საამქროში, ეზოში, ხალხში ულოცავდნენ მერის, ულოცავდნენ მის დებს, ნანულის და ლიზას, რომლებიც მერისთან ერთად იმავე მეორე სართავ ფაბრიკაში მუშაობენ, ულოცავდნენ მერის ამხანაგებს და შეგობრებს მათი ახლობლისათვის ამ დიდი ნდობის გამოცხადებას.

ა. ტაბატაძე.

გორის ბამბეულის კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე.

გულითადი შეხვედრები

ნოვოსიბირსკი. ნოვოსიბირსკი ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში უდიდესი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრია. აქ ქმნიან გიგანტურ გენერატორებს, თანამედროვე ჩარხებს, სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, რადიოტექნიკურ ნაკეთობებსა და ხელსაწყოებს. აქ მუშაობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებანი.

8 ივნისს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შეიკრიბნენ მუშები, ინჟინრები, მეცნიერები, სტუდენტები — ნოვოსიბირსკის ოქტომბრის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები. ისინი შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბორის ივანეს-ძე შჩერბინას.

შეხვედრა გახსნა პარტიის ნოვოსიბირსკის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. პ. ფილატოვმა.

ნოვოსიბირსკის საინსტრუმენტო ქარხნის მთავარმა ტექნოლოგმა ე. ნ. აქსიონოვმა — დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — დამსწრეთ გააცნო გ. ი. ვორონოვის ბიოგრაფია, პარტიული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. მან ამომრჩევლებს მოუწოდა ერთსულოვნად მისცენ ხმა ხალხის კანდიდატებს — ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საუკეთესო წარმომადგენლებს.

კრებაზე გამოვიდნენ სადგურ ინსკაიას საოლოკომოტივო დეპოს მემანქანე ნ. ი. ეესიუკოვი, ციმბირის ენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვ. ვ. შჩერბაკოვი, № 9 სკოლის მასწავლებელი, სახალხო განათლების წარჩინებული ო. პ. კორნეევა, პოლკოვნიკი ა. პ. იოლკინი, წყლის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტი ნატალია სკვორცოვა. მათ ილიაპარაკეს ციმბირელთა მთავარ ნაშრომად ქცეულ შრომაზე, რომელმაც კომუნისტური პარტიის გეგმებით ჩვენი სამშობლოს ეს უდიდესი და მდიდარი რაიონი გადააქციე მძლავრი ინდუსტრიისა და მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის მხარედ. ორატორებმა მოუწოდეს ყველა ამომრჩეველს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა ჩვენს ქვეყნის აღმოსავლეთში ბრძენი ქვეყნის ბელადისადმი.

ივანოვსკი. ივანოვოს მანქანათმშენებელთა კულტურის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების უფლებამოსილ დეპუტატად ალექსანდრ ლენინის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლების წინასაარჩევნო კრება. დარბაზში შეიკრიბნენ სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივების წარმომადგენლები, რომლებმაც თავიანთ წინასაარჩევნო კრებებზე ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში დასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი დიმიტრი თიმოფეის-ძე უსტინოვი.

ლენინის საარჩევნო ოლქის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, იეკვსკის მანქანათსამშენებლო ქარხნის ჩარხსამშენებელი წარმოების შიგმარხავამ ა. ს. ლებედევმა წაიკითხა დ. თ. უსტინოვის წერილი.

ამაზე წერილში დეპუტატობის კანდიდატი იტყობინება, რომ ავადმყოფობის გამო ამეკამად, სამწუხაროდ, შესაძლებლობა არა აქვს შეხვდეს ამომრჩევლებს და გულითად მადლობას უძღვნის ოლქის ყველა ამომრჩეველს იმ დიდი ნდობისათვის, რომელიც მას უკვე არაერთხელ გაუწიეს, თავიანთ წარმომადგენლად რომ ასახელებდნენ ხალხელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

ნდობით აღჭურვილმა პირმა ივანოვკის მანქანათსამშენებელო ქარხნის განყოფილების უფროსმა ა. ს. შუტოვმა შეკრებილთ გააცნო დ. თ. უსტინოვის ცხოვრების გზა.

ნდობით აღჭურვილმა პირმა და სხვა ორატორებმა ილაპარაკეს იეკვსკის, მთელი რუსეთის ეროვნებათა საბჭოს არჩევნებზე.

ლენინის ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებამ დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა. მან ცხადყო, რომ რაიონის მშრომელები მზად არიან მომავალ არჩევნებში ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

1970 წლის 8 ივნისისათვის

(ტონობით)

	გეგმა			გეგმის შესრულება პროცენტობით	
	წლიური	მაის-ივნისი	ფაქტიური შესრულება	წლიური	მაის-ივნისი
აფხაზეთის სსრ	41090	20956	22521	55	107
ბალის	22082	11260	12468	56	111
ოჩამჩირის	13893	7088	7269	52	103
გულაფშის	3450	1760	1824	53	104
გულრიფშის	1275	650	730	57	112
სოხუმის	390	198	230	59	116
აჭარის სსრ	34950	17824	19600	56	110
ქობულეთის	24829	12664	13551	55	107
ბათუმის	9521	4854	5764	61	119
ქედის	600	306	285	48	93
მახარაძის	40720	20767	21697	53	104
ზუგდიდის	29300	14944	15311	52	102
წალენჯიხის	13570	6920	7451	55	108
ლანჩხუთის	11150	5687	5761	52	101
გეგეჭკორის	10680	5446	5717	54	105
ჩხოროწყუს	9680	4935	5438	56	110
ჩოხატაურის	6920	3529	3336	48	95
წყალტუბოს	5350	2731	3019	56	111
ტყიბულის საქალაქო					
საბჭო	4900	2500	2638	54	106
ცხაკაიას	4940	2519	2978	60	118
წულუკიძის	4835	2467	2712	56	110
ხობის	3980	2030	2121	53	104
სამტრედიის	1385	706	679	49	96
აბაშის	600	306	357	60	117
თერჯოლის	460	234	298	65	127
ბიათურის საქალაქო					
საბჭო	250	127	106	42	83
ვანის	200	102	129	65	126
ზესტაფონის	40	20	28	70	140
საჩხერის	—	—	1	—	—
სულ	225000	114750	121893	54	106
აქედან:					
ჩაისა და სუბტროპიკული საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	45394	23125	25343	56	110
1969 წლის ამავე თარიღისათვის					
მთლიანად რესპუბლიკაში იყო:	210000	107065	89277	43	83

ბულგარეთი

შედეგები მოიწონეს

სოფია, 9 ივნისი. (საკდესი). **ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მოისმინა ინფორმაცია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 24-ე სესიის შესახებ, რომელიც გაიმართა ვარშავაში 12-14 მაისს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობათა მეთაურების მონაწილეობით.**

როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, მინისტრთა საბჭომ მოიწონა ბულგარეთის დელეგაციის მუშაობა, რომელსაც მეთაურობდა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე გამოითქვა აზრი, რომ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 24-ე სესიის დასკვნებსა და გადაწყვეტილებებს დიდი-მნიშვნელობა ექნება.

მინისტრთა საბჭომ მოიწონა 24-ე სესიის რეკომენდაციები და მათ შესაბამისად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

მსოფლიო დღეს

ბრძოლები კამბოჯაში

ნიუ-იორკი, 8 ივნისი. (საკდესი). **ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები და გაზეთები იუწყებიან, რომ გრძელდება ძლიერი ბრძოლები ცნობილი არქიტექტურული ანსამბლის — კამბოჯის ძველი დედაქალაქის — ანგკორის მიდამოებში.** ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ კამბოჯის განმათავისუფლებელ ძალებს, რომლებმაც დაიკავეს ანომპენის ჩრდილო-დასავლეთის 240 კილომეტრზე განლაგებული პროვინციული ცენტრი სიემრეაბი, კვლავ ხელთა აქვთ ეს რაიონი. სიემრეაბისა და ანომპენის დამაკავშირებელი ავტოსტრადა რამდენიმე ადგილას გადაჭრეს. ასოშიეიტედ პრესის სააგენტო შეიარაღებული პატრიოტული ძალების ირიბშს სიემრეაბის რაიონში უწოდებს „ჯიქნაში ძლიერსა და ჯიქნაზე ფართოს ამ ბოლო დროის მანძილზე“.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს ცნობის თანახმად, ბრძოლები მიმდინარეობს ალრეთვე სიიმის ყურის სანაპიროზე განლაგებული ქალაქ კამპოტის რაიონში. სააგენტო იუწყება, რომ იგო სროლა და ფეთქებებნენ ხელოვნებრივებს კამბოჯის დედაქალაქში.

დეპეშათა სააგენტოებისა და გაზეთების ცნობებიდან ჩანს, რომ კამბოჯელი ხალხის პატრიოტული ძალები ალტიორად მოქმედებენ ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე და აკონტროლებენ დარტყმებს ამერიკა-საიგონის ინტერვენტთა ჯარებს.

ვაშინგტონი ეჭიდეობს კამბოჯის სიომარ

ეანტიოლაში სულ უფრო ღრმად ჩაითრიოს თავისი მოკავშირეები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ვამოთქვამს ვარაუდს, რომ ტაილანდის ჯარებს გაგზავნა კამბოჯაში დაჩქარდება.

როგორც სააგენტო ამბობს, ტაილანდის ჯარის პირველი კონტინგენტი საბრძოლო მოქმედებას კამბოჯაში რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყებს. ამავე დროს ტაილანდის ტერიტორიაზე აჩქარებენ ჯარის ნაწილების შექმნას ეგრეთწოდებული „ქმერ-სერეის“ კამბოჯელ დაქირავებულთა რაზმებისაგან, რომლებსაც წინათაც ფარულად ეხლინებოდნენ კამბოჯის დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტს მოწინააღმდეგენი. იუწყებიან, რომ ტაილანდის მთელ რიგ პროვინციებში შექმნილია სპეციალური ბანაკები, რომლებშიც ეს რაზმები გადიან დაჩქარებულ სამხედრო მომზადებას ამერიკელ მრჩეველთა ხელმძღვანელობით.

ვაშინგტონი მიმართავს თავის ჩვეულებრივ ტაქტიკას ტაილანდის ზოგიერთი წრეების ფარულად ყოფილი მისწრაფების გასალვივებლად. როგორც იუწყებიან, ამერიკის შეერთებული შტატები ბანკოკს დაპირდა ახალ სუბსიდიებს „ჯილდოდ“ კამბოჯაში ტაილანდის ჯარების გაგზავნისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატები

ოპოზიცია ძლიერდება

ნიუ-იორკი, 9 ივნისი. (საკდესი). **სულ უფრო მეტი ამერიკელი მოითხოვს ნიქსონის მთავრობისგან, რომ დაუყოვნებლივ გამოიყვანოს ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ჯარები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან.** თანახმად საზოგადოებრივი აზრის უკანასკნელი გამოკითხვის შედეგებისა, რომელიც ლ. ჰარისის სამსახურმა მოაწყო, ჯარების გამოყვანას ახლა მოითხოვს ამერიკელთა 58 პროცენტი.

დემოკრატმა სენატორმა ტოლმეიმა ნიქსონის მთავრობას მოსთხოვა დაიჩქაროს ამერიკის ჯარების გამოყვანა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან და დაამთავროს იგი მიმდინარე წლის დამლევს. ეს ომი „მეტად დამანგრეველი და მეტად ძვირადღირებული“ შეერთებული შტატებისათვის, განაცხადა სენატორმა ქალაქ ატლანტაში (ჯორჯიის შტატი) წარმოთქმულ სიტყვაში. როგორც ამერიკის პრესა იუწყებოდა, გამინგტონის ავანტიურა უკვე დაუჯდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ბიუჯეტს 140 მილიარდი დოლარი. მეორე რესპუბლიკელი სენატორის ჰეტფილდის აზრით, თუ ყბადაღებული „ვიეტნამიზაციის“ პროგრამის შესრულების ახლანდელი ტემპი დარჩა, ომს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მოუნდება კიდევ სულ ცოტა 50 მილიარდი დოლარი.

ყალბი ემბარგო

ვაშინგტონი, 9 ივნისი. (საკდესი). **მიუხედავად იმისა, რომ გამოცხადებულია სახერძნეთისათვის მძიმე იარაღის მიწოდების ემბარგო, შეერთებული შტატები ახლა სახერძნეთის ხუნტას გაცილებით მეტ იარაღს აწვდის, ვიდრე 1967 წლის გადატრიალებამდე,** განაცხადა სენატორმა ვენს ჰარტკემ (დემოკრატი ინდიანის შტატიდან).

ჰარტკემ აღნიშნა, რომ 1969 საფინანსო წლის განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა „შაე ბოლკოვნიკებს“ გაუწია 158,6 მილიონი დოლარის სამხედრო დახმარება, ანუ თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე 1966 წელს. განუწყვეტლივ იზრდება ადრევანდელი ისეთი იარაღის მიწოდება, რომელზეც არ ვრცელდება ემბარგო.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დახმარება ათენის დიქტატორულ რეჟიმისადმი, ხაზი გაუსვა სენატორმა, „სპობს სახერძნეთში დემოკრატიის აღორძინების შესაძლებლობას და სასაციოლოდ ხდის ჩვენს დემოკრატიულ იდეალებს“.

ბრაზილია

ნეოფაშისტები არ ცხრებიან

რომი, 8 ივნისი. (საკდესი). **იტალიის სოციალური მოძრაობის (ნეოფაშისტური პარტიის) გათავხედებულმა ხულიგნებმა მოახდინეს კიდევ ერთი ხაზზღარი პროვოკაცია.** ქალაქ ბერგამო-დი-კალაბრიაში შავპერანგიანები ღამით შეიჭრნენ კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი სექციის შენობაში და ავეიტლი წყაიდეს. დაწვეს სექციის დიდი ბიბლიოთეკა და მთელი ავეჯი.

იტალიის დემოკრატიული და პროგრესული საზოგადოებრივი ბ ა ზ ა თანხმდებიან პროტესტს ხშირი ნეოფაშისტური პროვოკაციების წინააღმდეგ, ხელისუფალთაგან მოითხოვს დაიჭირონ — ანსტიკად დასაჯონ დამნაშავენი, ანრეთვე ანანაზორიელონ საჭირო ღონისძიებანი მოფაშისტო ელემენტების ამგვარი მოქმედების თავიდან აცილებისათვის.

კვიპროსი

საფრთხე რჩება

ნიკოზია, 9 ივნისი. (საკდესი). **პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას კვიპროსის პრეზიდენტმა მაკარიოსმა აღნიშნა, რომ საფრთხე ემუქრება რესპუბლიკის დამოუკიდებლობას.** „უკანონო ორგანიზაციებისა და ჯგუფების ფართოდ გავრცელება, — განაცხადა პრეზიდენტმა, — ძირს უთხრის საშინაო ფრონტს. კვიპროსის საზღვარგარეთელმა მტრებმა აქ იპოვეს მოკავშირეები, რომლებიც ინიღბებიან ეროვნული ლოზუნგებით. ამ შავბნელი ძალების მიზანი ის არის, რომ დეზორგანიზაცია, ქაოსი და არეულობა შეიტანონ ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში, რომლებიც საშუალებას მისცემენ კვიპროსის საკითხი გადაჭრან კვიპროსის ხალხისათვის უცხო ინტერესების სასარგებლოდ“.

მემარცხენე ძალების წარმატება

პარიზი, 9 ივნისი. (საკდესი). მემარცხენე ძალების წარმატებით დამთავრდა მუნიციპალური არჩევნების მეორე ტური, რომელიც გაიმართა ევენ-მალმეზონში (სა-დე-კალეს დეპარტამენტი). საფრანგეთის კომპარტიის კანდიდატისა და სოციალისტური პარტიის კანდიდატების ერთიანმა სიამ მიიღო ელექტორების ხმების 50 პროცენტზე მეტი.

გადატრიალება არგენტინაში

ნიუ-იორკი, 9 ივნისი. (საკდესი). **როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო იუწყება ბუენოს-აირესიდან, არგენტინაში მოხდა გადატრიალება. სამი გვარეობის შეიარაღებული ძალების სარდლებმა გადააყენეს პრეზიდენტი ხუან კარლოს ონგანია და ხელში აიღეს ძალაუფლება. გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ახალ პრეზიდენტად დანიშნავენ უახლოეს ათ დღეში.**

ჟურნალისტთა სიმპოზიუმი

ბერლინი, 8 ივნისი. (საკდესი). პოტსდამი ბავარუნელი ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის სიმპოზიუმის მონაწილეებმა მსოფლიოს პროგრესულ ჟურნალისტებს მოუწოდეს ყოველი ღონე იხმარონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ი ნ-სამართლებრივი ცნობისა და გამართულნმბული მრჩების ორგანიზაციის წევრად მისი მიღებისათვის.

სიმპოზიუმში თემაზე „პოტსდამის შეთანხმების 25 წლისთავი. ამ საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტის აქტიური მნიშვნელობა“ მონაწილეობდნენ აზიის, აფრიკის, ევროპისა და ამერიკის ჟურნალისტები.

სიმპოზიუმის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლი კომიტეტის“ თავმჯდომარე პროფესორი პ. ა. შტაინიგერი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში თანამემდგომლურად განხორციელდა პოტსდამის შეთანხმების ყველა დებულება ევროპის მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის ამ დოკუმენტის აქტიურ მნიშვნელობაზე ილაპარაკეს ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტმა ჟან-მორის ერმანმა (საფრანგეთი), სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. ბორკოვმა, აგრეთვე სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტ დემოკრატ ჟურნალისტთა ასოციაციის აღმასკომის წევრმა ლი ვან საუმ.

დარბაზობაზე, რომელიც მოაწყეს ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ და გერმანელ ჟურნალისტთა კავშირმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), გამოიცხადეს ჟურნალისტთა კონკურსის გამარჯვებულნი. ეს კონკურსი მოაწყეს ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 20 წლისთავის გამო. კონკურსში მონაწილეობდა 25 ქვეყნის 300-ზე მეტი ჟურნალისტი. პრემიებით დაჯილდოებულთა შორის არიან „იზვესტიის“ კორესპონდენტი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ლ. სტეპანოვი, „ზეთი „ტრასნაია ზვეზდის“ რედაქცია, „ზეთი „ნოროდნაია პრავდის“ რედაქტორი ი. ბოგდანოვი, აგრეთვე პოლონეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, უნგრეთის, კუბის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების მთელი რიგი ჟურნალისტები.

ოფიციალური ვიზიტით

ვარშავა, 8 ივნისი. (საკდესი). **პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის, პოლონეთის მარშლის მარიან სპიხალსკის მეწვეული დღეს ვარშავაში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჟანსარანგინ სამბუ.**

ბულგარეთის ახალი ელჩი

